



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA010186740451217

26 / დეკემბერი / 2017 წ.
№ 1298/ს

სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (წიფელის ჯიშის მრგვალი ხე-ტყე (მორი III; IV ხარისხის) – სულ -59.26 მ3 საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N432) განმეორებით (6) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46¹-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 04 აგვისტოს დასკვნის N5004392017, იმერეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2017 წლის 23 ოქტომბრის N12/46605 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 30 ოქტომბრის N25076/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 06 ნოემბრის N26012/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, 2017 წლის 13 ნოემბრის N26805/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, 2017 წლის 29 ნოემბრის N28649/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, 2017 წლის 18 დეკემბრის N30277/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N432 იმერეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ზესტაფონი - ხარაგაულის სატყეო უბნის მოლითის სატყეოს N4 კვარტალში (ლიტერი 15) სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული 59.26 მ³ ფოთლოვანი სახეობის (წიფელის) მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის- III; IV ხარისხის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.


2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტს (გ.ბლიაძე) სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ.კიწმარიშვილი) სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, გულუას ქ. №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის
მოადგილე



ნათია იორდანიშვილი